www.cse.ge

საინფორმაციო ელექტრონული ჟურნალი

6

იანვარი, 2013 წელი

- ✓ *სოციალური მეწარმეობა საქართველოში*
  - ❖ ქართული სოციალური საწარმოების ერთობლივი შეხვედრა
  - ❖ "ფინანსური მხარდაჭერა სოციალური საწარმოებისათვის" - 2012 წლის კონკურსის გამარჯვებული
- ✓ *სოციალური მეწარმეობის საერთაშორისო ამბები*
  - ❖ 2012 წლის სოციალური მეწარმეები
  - ❖ მეთ დეიმონის სოციალური საწარმო

❖ ქართული სოციალური საწარმოების ერთობლივი შეხვედრა

ქართული სოციალური საწარმოების პირველი ერთობლივი შეხვედრა გაიმართა თბილისში, 2012 წლის 20 ნოემბერს. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო 50-მდე სოციალური საწარმოს ლიდერმა და სოციალური მეწარმეობის განვითარების სფეროში მოქმედი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.
შეხვედრა ჩატარდა საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრის ორგანიზებით და ფონდის „ღია საზოგადოება - საქართველო“ ფინანსური მხარდაჭერით.
სამუშაო შეხვედრაზე მონაწილეებს საშუალება მიეცათ გაცნობოდნენ ერთმანეთის საქმიანობას და ემსჯელათ სოციალური მეწარმეობის გამოწვევებზე საქართველოში.

სოციალური საწარმოების წინაშე არსებულ გამოწვევებზე მსჯელობა წარიმართა ე.წ. „მსოფლიო კაფეს“ პრინციპით სამ სამუშაო ჯგუფში:

ჯგუფი I - სოციალური საწარმოების საარსებო სამართლებრივი გარემო
ჯგუფი II- სოციალურ საწარმოთა საჭიროებები ორგანიზაციული გაძიერებისთვის და ეფექტურობის ზრდისთვის
ჯგუფი III - ფინანსების ხელმისაწვდომობა სოციალური საწარმოს ინიცირებისთვის და განვითარებისთვის

ჯგუფებში მონაწილეებმა იმსჯელეს სოციალური საწარმოების დღევანდელ მდგომარეობაზე, არსებულ პრობლემებსა და გამოწვევებზე. ასვეე განიხილეს პრობლემების გადაჭრის შესაძლო გზები. სამუშაო ჯგუფების მუშაობის შედეგები შეგიძლიათ იხილოთ სოციალური მეწარმეობის ცენტრის ვებგვერდზე: http://cse.ge/?p=948

❖ “ფინანსური მხარდაჭერა სოციალური საწარმოებისათვის” - 2012 წლის კონკურსის გამარჯვებული

საქართველოში სოციალური მეწარმეობის განვითარების მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში 2012 წელს “ფინანსური მხარდაჭერა სოციალური საწარმოებისათვის” გამოცხადებული კონკურსის მიზანი იყო საზოგადოებრივ ორგანიზაციებში ინოვაციური ბიზნეს მიდგომების განვითარების ხელშეწყობა, მათი სოციალური ან/და გარემოსდაცვითი მისიისა და მიზნების მხარდასაჭერად. ამ კონკურსის გამარჯვებულად გამოვლინდა ფონდი ”აფხაზინტერკონტი”, პროექტით - "იმერეთის რეგიონში მცხოვრები შეჭირვებული მოსახლეობის შესაძლებლობების განვითარება, თვითდასაქმებასა და სოციალურ-ეკონომიურ ინტეგრაციაში ხელშეწყობა".

გამარჯვებული პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია იმერეთის რეგიონში სასათბურე მეურნეობის განვითარება და ამ გზით სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დასაქმება. ამ პროექტის ფარგლებში ერთი აგრონომიული კალენდრის (აგროტექნოლოგიური ვადების გათვალიწინებით) პერიოდში სოციალური საწარმოს მიერ გათვალისწინებულია ორი მოსავლის მოყვანა. ეს კი საგრძნობლად გაზრდის არა მხოლოდ საწარმოს შემოსავალს, არამედ შესაძლებლობას ქმნის მოყვანილი პროდუქცია გახდეს მრავალფეროვანიც.

პროექტში ჩართული ბენეფიციარებისთვის გათვალისწინებულია სასწავლო კურსის გავლა, სადაც ჩატარდება სადემონსტრაციო სწავლება სასათბურე მეურნეობაში ახალი ტექნოლოგიებით ეკოლოგიურად სუფთა ბოსტნეული კულტურების (ცერეცო, ოხრახუში და სასალათე პომიდორის) მოვლა-მოყვანის საკითხებზე. ბენეფიციარები მიიღებენ აქტიურ მონაწილეობას სასოფლო პროდუქციის წარმოებაში, ნიადაგის მომზადებიდან პროდუქციის აღება-დაბინავებამდე.
სოციალური საწარმოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სოციალური შედეგია, რომ ყოველწლიურად ორი შეჭირვებული ოჯახი საკუთრებაში მიიღებს მარტივი ტიპის სასათბურე მოწყობილობას და შეძლებს პრაქტიკულად გამოიყენოს მიღებული ცოდნა და უნარები ოჯახის საკეთილდღოდ.

სოციალური მეწარმეობის საერთაშორისო ამბები

❖ 2012 წლის სოციალური მეწარმეები

მსოფლიოში სოციალური მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობაზე მრავალი საერთაშორისო ორგანიზაცია და ფონდი მუშაობს. მოკლედ გაგაცნობთ რამოდენიმე მათგანის მიერ 2012 წლის კონკურსებში გამარჯვებულ სოციალურ მეწარმეებს.

✓ Skoll Foundation Awards

2012 წლის 20 დეკემბერს **Skoll**-ის ფონდმა გამოავლინა გამარჯვებულები სოციალურ მეწარმეობაში, რომელსაც 2013 წელს დააფინანსებს. ასობით აპლიკაციიდან მხოლოდ ისეთი ჯგუფები შეირჩნენ, რომლებიც მსოფლიოში ყველაზე იმედისმომცემი სოციალური მეწარმეები არიან და იზიარებენ Skoll-ის იდეებს: მეწარმეობითი მიდგომა; განხორციელებული ინოვაცია, რომლის გავლენაც და შეფასებაც შესაძლებელია; ფოკუსირებულია მნიშვნელოვან საკითხზე, ხელს უწყობს სისტემის ცვლილებას. კონკურსის გამარჯვებულები არიან:

- **Independent Diplomat** - ყოფილ დიპლომატთა ჯგუფი ეხმარება იზოლირებულ ქვეყნებსა და ჯგუფებს თქვან თავიანთი სათქმელი საერთაშორისო მოლაპარაკებებზე;
- **Crisis Action**- შემოიკრებს ადამიანის უფლებათა დამცველებსა და საერთაშორისო ჰუმანიტარულ ორგანიზაციებს, რომ დაიცვან სამოქალაქო პირები შეიარაღებული კონფლიქტებისგან;
- **Khan Academy** - იბრძვის, რომ ყველამ შეძლოს მიიღოს უფასო მსოფლიო კლასის განათლება ნებისმიერ ადგილას.
- **The Citizen Foundation** - დაბალი შემოსავლის მქონე მოსახლეობას საშუალებას აძლევს დაწყებითი და საშუალო სკოლის განათლება ხელმისაწვდომ ფასებში მიიღონ;
- **BasicNeeds** და **World Health Partners** ჯანმრთელობის დაცვის საკითხში ცნობიერების ამაღლებასა და მის ხელმისაწვდომობაზე ზრუნავენ.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ბმული: http://www.skollfoundation.org/skoll-foundation-announces-2013-award-winners/#more-10059

✓ Schwab Foundation awards

Schwab-ის ფონდმა ტიანჯინში, ჩინეთში გამოავლინა 2012 წლის გამარჯვებული 26 სოციალური მეწარმე, ეს ორგანიზაციები მუშაობენ სხვადასხვა მიმართულებით, კერძოდ, ჯანდაცვის, განათლების, დასაქმებისა და სოფლის განვითარების სფეროებში. ჩვენს ჟურნალში გაგაცნობთ რამოდენიმე მათგანს. ხოლო დაწვრილებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: http://www.weforum.org/news/schwab-foundation-announces-2012-social-entrepreneur-awardees

- **Gary White (აშშ) Water.org** - კერძო პირებსა და თემებზე მცირე სესხების გაცემით განვითარებად ქვეყნებში 350,000 ადამიანს საშუალება აქვს პირადი მოხმარების წყალი ხელმისაწვდომ ფასად მიიღოს.
- **Thorkil Sonne (დანია) Specialisterne** - სპეციალისტ ხალხთა ფონდი (The Specialist People Foundation) აუტიზმით დაავადებულ ადამიანებს ატრენინგებს, რომ მათ შეძლონ მუშაობა IT კონსულტანტებად Specialisterne-ში, მომგებიან, კერძო IT კომპანიაში.
- **Paul Matthew Scott (სამხრეთ აფრიკა) North Star Alliance** - ჩრდილოეთ ვარსკვლავის გზისპირა ჯანმრთელობის კლინიკები მოვაჭრეებს უფასო პირველად სამედიცინო დახმარებას უწევენ. ორგანიზაცია ასევე სპეციალიზებულია შიდსის, მალარიის და სხვა სპეციფიური დაავადებების მქონე პირთა დახმარებაზე.

✓ The World Entrepreneurship Forum Announces Winners of its 2012 Awards

მსოფლიო მეწარმეობის ფორუმზე წლის სოციალურ მეწარმედ დაასახელეს ფილიპინელი ტონი მელოტო, ორგანიზაცია **Gawada Kaliga**-ს დამაარსებელი. იგი მუშაობს 2000 უღარიბეს თემთან ფილიპინებში, ასევე თანამშრომლობს სხვა ღარიბ ქვეყნებთან, როგორიცაა - კამბოჯა, ინდონეზია და პაპუა ახალი გვინეა. ორგანიზაციის მიზანია საზოგადოების ყველა სექტორის ჩართვით და მათი მობილიზებით სიღარიბის დამარცხება. ორგანიზაცია ქმნის მოხალისეთა ჯგუფებს - სკოლებთან, კორპორაციებთან და სხვა ინსტიტუტებთან, და ამ სექტორებთან აქტიური მუშაობით ხელს უწყობს საზოგადოებაში ზრუნვისა და გაზიარების კულტურის ჩამოყალიბებას. აქვე აღვნიშნავთ, რომ Gawad Kalinga ნიშნავს "იზრუნე სხვებზე" (give care). დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ: http://www.multivu.com/mnr/56636-world-entrepreneurship-forum

❖ მეთ დეიმონის სოციალური საწარმო

ჰოლივუდის ვარსკვლავები თანდათან ეცნობიან და იზიარებენ სოციალური მეწარმეობის მნიშვნელობას და მის როლს ადამიანების ცხოვრების დონის გაუმჯობესებაში. ჩვენს #2 ელექტრონულ ჟურნალში გაგაცანით ჰიუ ჯეკმანის სოციალური საწარმო "Laughing Man, Coffee and Tea", ახლა კი წარმოგიდგენთ მეთ დეიმონის მოღვაწეობას ამ სფეროში.

მეთ დეიმონმა და გარი უაითმა 2009 წელს ქალაქ კანზასში დაარსეს სოციალური საწარმო Water.org. უაითი ამ სფეროში უკვე 20 წელი მუშაობდა და ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორია. "საწარმოს მიზანია უზრუნველყოს ყველა ადამიანი დედამიწის გარშემო სუფთა წყლით და გააუმჯობესოს სანიტარული პირობები"- აცხადებს დეიმონი.

ორგანიზაციის მთავარი კომპონენტი არის წყლის-კრედიტი. მიკრო სესხების გაცემით ადამიანებს საშუალება აქვთ წყალი მიიღონ.

Water.org სხვადასხვა სფეროში მომუშავე ორგანიზაციებთან თანამშრომლობს, კერძოდ, კორპორაციული ფონდებიდან - PepsiCo Inc და Caterpilar Inc-იდან დაწყებული არასამთავრობო და კომერციული ინსტიტუტებით, მაგალითად, CamelBak Products LLC-ით დამთავრებული ყველასთან აქვს აქტიური ურთიერთობა. Water.org-ი სთავაზობს მომხმარებელს ინდივიდუალურ ფილტრიან წყლის ბოთლს, რომლის მთავარი დამსახურებაა, რომ აუმჯობესებს ონკანის წყლის ხარისხს და დასალევად ვარგისს ხდის მას. ყოველი გაყიდული ბოთლიდან 10 დოლარი ორგანიზაცია water.org-ში შედის. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ბმულზე: http://www.bloomberg.com/news/2012-09-25/matt-damon-s-major-role-in-finding-clean-water-for-world.html

❖ თუ თქვენ აღარ გსურთ მიიღოთ სოციალური მეწარმეობის ელექტრონული ჟურნალის შემდეგი გამოცემები, გამოაგზავნეთ ტექსტი - "გამოწერის გაუქმება" შემდეგ მისამართზე: info@cse.ge

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით www.cse.ge

ყველა საავტორო უფლება დაცულია და ეკუთვნის "საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრს"

"ღია საზოგადოება - საქართველო" "ეკლესიის განვითარების სააგენტო"